



საქართველოს ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #001/12 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ქურდაძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ადოკატსა და კლიენტს შორის დაიდო მომსახურების ხელშეკრულება, სადაც ზეპირი ფორმით წინასწარ განისაზღვრა, ჰონორარის გადახდის რიგითობა. კლიენტმა თანხა არ მისცა ადოკატს, მაგრამ ადოკატმა მაინც დაიწყო კლიენტის საქმის წარმოება. ადოკატი ასრულებდა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად კლიენტის მიმართ გაწეულ მომსახურებას. ადოკატმა კლიენტი დაითანხმა ოპონენტთან მოლაპარაკებაზე, მაგრამ ოპონენტმა კლიენტის მიერ დასახელებული თანხა ზიანის ასანაზღაურებლად არარეალურად მიიჩნია და მათ შორის მოლაპარაკება არ შედგა. ამის ფონზე კლიენტი გაღიზიანდა და ადოკატის დაუკითხავად დაიწყო საჩივრების წერა სხვადასხვა ორგანოს მისამართით. ადოკატმა საადოკატო მომსახურების დარღვევის გამო კლიენტთან ვადამდე ადრე შეწყვიტა ხელშეკრულება. კლიენტმა ადოკატს ბრალი დასდო, რომ იგი მის თანხებს არამიზნობრივად ხარჯავდა, მოქმედებდა მისი ინტერესების წინააღმდეგ და თანამშრომლობდა მეორე მხარესთან. კლიენტმა მიმართა ეთიკის კომისიას ადოკატის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ადოკატმა საკუთარი პოზიციის დასაცავად კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტი იმ დროს, როდესაც შეწყვეტილი იყო მხარეთა შორის საადოკატო მომსახურება და წარმოუდგინა ეთიკის კომისიას.

პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადოკატს არ ჰქონდა დარღვეული კლიენტისათვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება და არ აღძრა დისციპლინური დევნა მოცემული ვალდებულების დარღვევის საფუძლით, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, რადგან მიიჩნია, რომ როდესაც მხარეთა შორის შეწყვეტილი იყო საადოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადოკატმა მაშინ მოიპოვა კლიენტის შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაცია. ამით კი დაარღვია „ადოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი და ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

სამართლებრივი შეფასება

კლიენტი ადოკატს მინდობილობას/ორდერს გადასცემს მისი ინტერესების დაცვის მიზნით და იგი უფლებამოსილი არ არის აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ შორის საკუთარი ინტერესების დასაცავად.. ადოკატსა და კლიენტს შორის საადოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ადოკატს უფლება არა აქვს ისარგებლოს კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობით, ორდერით და სხვა დოკუმენტებით.

მოცემულ საქმეში ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მინდობილობა ისევ ძალაში იყო, თუმცა ადოკატმა იცოდა, კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შესახებ, მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აღარ ჰქონდა და მინდობილობის მესამე პირთან გამოყენებით დაარღვია კანონიერების პრინციპი ასევე ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატს უფლებამოსილებას აძლევს ყოფილი კლიენტის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან თავი დაიკვას, მაგრამ ეთიკის კომისიის განმარტებით ამ პროცესში ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებები.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო პასუხისმგებლობის ზომად განუსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. განსაზღვისას გაითვალისწინა ადვოკატის აღიარება, ასევე ის გარემოება, რომ მან მოცემული მინდობილობა გამოიყენა ეთიკის კომისიაში საკუთარი პოზიციის გასამყარებლად და მიზნად არ ისახავდა კლიენტისთვის ზიანის მიყენებას.